საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000068982184820

№ 02-104-R **14 / ივნისი / 2020 წ.**

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობაში შესვლის უფლების მქონე პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს-ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები შეფასებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება 01-227/ო დანართი N10 რეკომენდაციების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს მიმდინარე წლის 16 ივნისიდან სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში შემოსვლის უფლების მქონე პირები:
   ა) პერსონალი, რომელიც მონაწილეობს ბაკალავრიატის მისაღები და საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიებში
   ბ)პროფესორ-მასწავლებელები, კონცერტმაისტერები და ილუსტრატორები, ვისაც დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ჰყავთ
   გ) დამამათვარებელი კურსის სტუდენტები
   დ)კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და მათი პედაგოგები
   ე) გადასაყვანი კურსის ის სტუდენტები, რომლებიც ჩართულნი არიან დამამთავრებელი კურსის სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდებში
   ვ) აბიტურიენტები სასწავლო დეპარტამენტის მიერ წინასწარ გაკეთებული სარეპეტიციო განრიგის მიხედვით.
   ზ) ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა სამუშაოს შესრულებაც მოითხოვს შენობაში ფიზიკურად ყოფნას.

2. შენობაში შემოსვლა განხორციელდეს სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებული წინასწარი გეგმა-გრაფიკის და ცხრილის მიხედვით

3. სასწავლო დეპარტამენტმა უზრუნველყოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის შეთანხების საფუძველზე სამეცადინო კლასების გამოყოფა

4. შემომსვლელებმა უნდა დაიცვან შენობაში მათი ყოფნისათვის განკუთვნილი დღე და დრო

5. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე